

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსან კეთილმან სული თვის დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).
ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სხარული ცთა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).
მოველით ჩემდა ყოველნი მასურალნი და ტვირთ-მძიმენი და შე განვივებო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 8

1883—1895

15—30 აპრილს.

სასიხარულო ამბავი.


ხმები ისმის, რომ მომავალი წლიდან საეკლესიო —სამრევლო სკოლების სასარგებლოდ გადადებულ იქნება ხაზინიდან ერთი მალიონ ნახევარი მანეთი. სწორედ დადგა დრო სამწყსოთა კრიტიკული აღზრდა —განათლებისა. თუ როგორი უნდა იყოს განათლება, ამას საკმაოდ მარტავს წმიდა იოანე ოკროპირი, რომლის სიტყვები დღესაც მარგალიტოვით მისაღები და მოსასმენია ცხლანდელი დროის პედაგოგების სიტყვათა შორის. აი რას ამბობს ეს წმიდა მამა განათლების შესახებ:

„შვილების აღზრდა მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომ იგიინი შიმშილით არ მოკლა, და ზოგ მშობელთ სწორედ ასეთ ცხმით შვილების აღზრდის საქმე. ამისთვის საჭირო არ არის არც წიგნები და არც დადგენილობანი: ამას ცხადთ გვიჩვენებს თვით ბუნება. მე

ელაპარაკობ, საჭიროა ბავშვთა გულში დაენერგოთ ქველის-მოქმედება და კეთილ-ცხოვრება, —ეს მოვალეობაა საღმრთოა, ამ მოვალეობის დამარღვეველი არამოდენიმედ მოზიარე ხდება თავის შვილების სიკვდილიში“.

ასეთია ამ დღი მასწავლებლის შეგედულება განათლებაზე. შესანიშნავია, რომ, განათლებაზე ლაპარაკის დროს, წმ. იოანე საჭიროდ არ რაცხს აღნიშნოს სხვა და სხვა სისტემები განათლებისა, საზოგადოდ ძლიერ ცოტას ლაპარაკობს სკოლაზე: მისი სიტყვა მილად მშობლებისადმი მიქცეული...

ჩვენ არ ვზოგავთ არც შრომასა და არც ხარჯს, რომ ჩვენს შვილებს ვასწავლოთ საერო მეცნიერებანი. წმიდა სარწმუნოების შესწავლას კი არ ეციებთ. ჩვენ ნებას ვაძლევთ შვილებს იარონ სხვა და სხვა სათამაშოებზე, და რომ მათ იარონ ტაძრებში და კრძალვით ევედრონ ღმერთს, ამაზე კი ძლიერ ნაკლებად ვზრუნავთ. ჩვენ ანგარიშს ეთხოვთ შვილებს იმის



შესახებ, თუ რა ისწავლეს მათ საერო სასწავლებლებში, რატომ იმასაც კი არა თხოვთ შეიღობს, თუ რა მოისმინეს მათ უფლის სახლში?

როცა ვინღა, ჩვენს შვილებს მეცნიერებანი შეეასწავლოთ, ცედილობთ მოეცხოთ ყოველივე დამაბრკოლებელი მიზეზები, რომელნიც მათ ხელს უშლიან მეცნიერებათა შესწავლის საქმეში, და ხელს ეწყობთ მათ სწავლაში: ეძებთ მათთვის მასწავლებლოთ, ვნარჯავთ ფულებს, ვნათავისუფლებთ იმათ ყოველივე სხვა შრომასაგან, და უმეტეს, ვინც მასწავლებელნი ოლიმპიის სათამაშოებზე, ჩაიჩინებთ მათ, რომ უსწავლელობას მოსცილდნენ სიღარიბე, ხოლო სწავლას—სიმდიდრე;—როგორც ჩვენ ისე სხვაებსაც ვეძუდარებით, რომ შეგაგანონ შვილებს უსათუოთ დაამთავრონ სწავლა; მაგრამ ხშირად ასეთი ცდა ფუჭად ჩაიგოს ხოლმე. ამავე დროს სრულებით არ ცედილობთ ჩვენი შვილების ქრისტიანულად აღზრდას. ვეჯირობთ, რომ სიმშვიდე ზნეთა და კეთილი ყოფაქცევა თავის თავად აღორძინდებდა ყმაწვილში და ამაგებს, თითქო, არც რაიმე მიზეზი შეიუფერებს; ამაზე მეტი უნდურობა იქნება,— თვით უადვილესზე ფრიად ღღს ყურადღებას ეძკვეთ და შრომას ვწყობთ, თითქო უამისოთ მათი შექმნა არ შეიძლებიყოს, და თვით უძნელესზედ კი არ ვზრუნავთ, და ვეჯირობთ, რომ იგი როგორც უზრალა და არა დიდად საჭირო, თავის თავად გაკეთდება, ხელოც რომ არ გეგანძობიოთ. მაგრამ სულის გაწერონა კეთილ ცხოვრებასა შინა იმოღენად ძეგლია მეცნიერებათა შესაწავლაზე, რამდენათაც აღსაყლებია უკრა ძნელია თქმაზე; რამდენათაც საქმინი ძნელია სიტყვებზე.

უტკუნობა არ არის ვასწავლოთ ბავშვებს სხვა და სხვა ხელოვნება, ვავსვენოთ ისინი სასწავლებლებში და არაფერი არ დაეშუროთ ამისთანა განათლებისათვის—და მათ აღზრდაზე უფლის შინა და და სწავლასა შინა, არ ეიზრუნოთ ამიტომაც არის, რომ თვით ჩვენვე ვეგმებთ ხოლმე ამისთანა აღზრდის ნაყოფს, როცა ეხედავთ, რომ ჩვენი შვილები ჩვენ აღარ გიგონებენ, წინააღმდეგნი, უოჩნი და გარყეიდილნი არიან! ჰო! მე ამას მუდამ ელაპარაკობ... მაგრამ ვეჯირობ კი, ვი თუ ფუჭად ეიპყარებ ჩემს სიტყვებს? მაგრამ მე მაინც არ მოვშლი ამის შესახებ ლაპარაკს. ეს ჩემი მოვალეობაა!

როცა მამები ელაპარაკებიან შვილებს მეცნიერებათა შესწავლის შესახებ, ამ საუბარში სხვას ეერას

გაიგონებ, თუ არა ამ სიტყვებს: ამა და ამ კაცმა, რომელიც მეტად ღარიბი იყო, განვითარდა რა იგი მეტერმეტყველებაში, ფრიად დიდი თანამედრობა მიღო, შეიძინა დიდი გავლენა, ითხოვა მდიდარი ქალი, აღაშენა მშვენიერი სახლი და ყველასაგან პატივსაცემი შეიქნა მეორე კიდევ ქვეყნის სხვა ბობოლესზე უთითებს შვილებს: ხოლო ვინ იღიდა ცათა შინა ამაზე კი, ერთხელაც რა არის, ხმას არ აღმოიღებენ; და კიდევ რომ ვინმეს ვაახანდეს და თქვას, მაშინვე შეაჩერებენ. ამ სახით, როცა თქვენ ყველა ამავს პატარაობიდან ასწავლით თქვენს შვილებს, როცა ამ ბიჭებებთა გარეშე არაფერს არ ასწავლით მათ, ამით თქვენ მათ გულში ნერგავთ ორს უღიდეს ცნებათა, ე. ი. ეერცხლის მოყვარებას და ამაზე უფრო უტუფეს ცნებას—ღიდების მოყვარებას...

შენ ეიქრობ, რომ შენი შვილი ადვილად აიცილდეს ეშმაკის განსაცდელს ახალგაზღობაში, როცა მას გარს არტყია მრავალი განსაცდელი, და ამავე დროს მას არ ესმის არავისაგან არც ერთი სასარგებლო რჩევა და მხოლოდ ხედაეს, რომ ყველანი, და უმეტესად მშობლები და აღზრდელნი მისნი აჩვენენ მას ყოველივე ბიჭერს, მუდამ თავიანთი შვილების ყურადღებას აქცევენ ამა ქვეყნიურ ცხოვრებასა და მის სარგებლობათა ზედა. როგორც სხულის არ შეუძლია დიდხანს ცხოვრება, თუ იგი ისწავლობს უარვისი საზრდოთი, ისე სულს, რომელსაც ასეთი აღზრდა ეძლევა, არ შეუძლია იფიქროს რაიმე კეთილსა და უსარულესზე...

ღიას, შვილებს თვით მშობელნი აფუქებენ, როცა მათ მხოლოდ ამ ქვეყნიური სარგებლობის მეტს არას ჩასახიან ყურში. ვინიღღან თვითონ მშობელნი მარტო ამ ქვეყანაზე და მის სარგებლობაზე აქცევენ მოამეტებულს ყურადღებას და ამავეზე უმაღლესი სხვა არაფერი მიაჩნიან, რასაკვირველია ისინი არ იზრუნენ თავიანთ შვილებსა და მათ სულზე. ამასთან მამების შესახებ ვიტყვი მე, (და ნუ არაიენ ჩათელის ამ სიტყვებს, თითქო ისინი შედეგი იყოს გულმოსულობისა), რომ იგინი უარესნი არიან შვილების მკვლევებზე.. ისე საშაში არ არის ხმლის გავლენა, აღება მარჯვენა ხელში, და მისი ჩაკერა შულის გულში, როგორიც არის სულის გარყენა; იმიტომ რომ ჩვენ იმაზე უკეთესი არა გვაქვს რა...



ყველაზე უმთავრესად ჩვენ უნდა ვზრუნავდეთ, რომ ჩვენი შეილები აღეზარდოთ უფლის შიშა და სწავლასა შინა... იმაზე ნუ ზრუნავ, რომ შენი შეილი შესანიშნავი იქნეს განათლებით და პიტი მიაზოვოს დიდება... მივეც მას დედა და ანა მცერე. იმას ნუ კი ცდილობ, რომ შენი შერილი მკვერ-მეტყველი გამოვიდეს, არამედ ასწავლე მას სიბრძნის მოყვარება, მკვერ-მეტყველი რომ არ შექმნეს იგი, ამითა მას არაერთი ენება არ მიეცემა; თუ მას სიბრძნის მოყვარება არ ექნა, მაშინ თვით უუსრულებელი მკვერ-მეტყველებაც არავითარ სარგებლობას არ მოუტანს. კეთილი ყოფაქცევაც საჭიროა და არა მხევილი გონებიანობა; საჭიროა ზნეობა და არა ძალა სიტყვისა; საჭიროა საქმენი და არა სიტყვები... ენას ნუ კი იმდიდრებ, არამედ გიწმინდე სული. ამას იმიტომ კი არ ვლაპარაკობ, თითქო საერო განათლებას უარს ეყოფედ, არამედ იმიტომ, რომ მომეტებულად მას არ გამოუდგეთ.

«მეგრამ რაა საჭირო, რომ ჩვენი შეილები აღეზარდოთ უფლის შიშა შინა? —პასუხი ცხადია: როგორც მცენარე თავსუფლად იზრდება თბილსა და კეთილ სუბიერულს ჰაერზე, აგრეთვე ბავშვის გულში ჰე მკვერ-მეტყველი ქრისტიანული ზნეობის დანერგვისათვის ყველაზე უწინარეს საჭიროა საზოგადოება, რომელიც გამსჭვალული უნდა იყოს ქვეყნობით და ქრისტიანული კეთილ-ცხოვრებით. დანარჩენი ყოველივე თავისთავად გაცვთდება.

რომდენი ხანია მას აქვთ, რაც ესიტყვები წარმოიტქვა წმიდათა შორის მამისა ჩვენიხა იოანე ოქროპირისაგან, მეგრამ რომდენმა დრომაც უნდა გვიაროს, ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ექნება ამ სიტყვებს. აი ასეთია ნიკე გენიოსთა, რომელნიც ძლიერ შორის სტერეტენ და რასაც იტყვიან, მათ სიტყვას დრო არ წაუფა, ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ექნება. შეადარეთ ეს სიტყვა-ქადაგებას ებლანდელი დროის ზოგიერთ პედაგოგების მოსაზრება ახალ-თაობის აღზრდის შესახებ და დარწმუნდებით, თუ რომდენათ დაზოგრებდნენ ივინი ქვეყნობით ზნეობრივ აღზრდის საქმეს.

დღე-ღამეობა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ს ა ვ ი თ

ქართველებს რომ დღეს ბევრი სხვა-და სხვა სსკ-რობა გაქვს და აურბული საქმეც გაქვს ცვირნათ, ეს ვინ არ იცის?.. მეგრამ არცერთი გი მათგანი ისეთი საჭირო და სასწრაფო არ არას, როგორც „სეზიარ-გადმოცემების“ შეკრება და შეკრებება!.. შეადრებით ამ დიდ საქმესთან სხვები უკვლავ თითქმის „ხიბრ-კვდილანობით“ უნდა წათვალოს, მეგრამ ჩვენ გი მანც ამოდენი ხანია განზე ვუდგებით ამ საჭირო საქმეს. ხალხურა მოკვია უტყუარი სარკვე გადსულ ცხოვრების და ისტორიის მტკიცე სიმარტყელი, და ამიტომაც ცნობილია დღეს უოკვლავ განთლებულ ერისაგან ერთ უზიარ-გვლეს საჭიროებათ. ჩვენი, ქართული „სეზიარ-გადმოცემები“ მით უფრო შესანიშნავი არიან სხვებისაზე, რომ კერძო მნიშვნელობას გარდა, მსოფლიო ხასიათიან აქვთ: საქართველო იყო ხადათ და გზათ იმ დიდ-მომართობის დროს, როდესაც სხვა და-სხვა ერი აზიად-გან ვერბაში გადღადავდა! —მაშასადამე, ჩვენი ქვეყნა, უტყუარ დროადგანვე ბევრის მომსწრა, მისხველია და მოქმე მამა დაუშობოთ კიდეც ის ტარტობობიც, რომ ქართველი საზოგადოთ ბუნება თანხაარა და რაც უნახვს, ან გუგონია, უურადდობოთ არ დაუგდა: უოკვლავე შეუსწავლია და საშეილიშეილოთ გადმოუცია სასეზიარობოთ. არსად ისე ტარტვლებული არ უოფილა „მეზიარობა“, „მესტვირობა“ და მეზიარობა“, როგორც ჩვენში!.. საშეილიშეილოთ გადმოცემობა სოლემ ერთი-მეორისაგან ასისა და თასის წლის ანებუბა და ამის გამო უშადღეს წარტალიმდე იყო აუკანალი ჩვენი სახალხო მოკვია. ძველი და ახალი ადოქმა სულ ერთიანი: გალქსული იყო და ტრანალებდა ჩვენს სა-ღხში!..

ეს არ ვატონია ჩვენში საუცხოვო შიარბი „აბრამზე“, „აბრზე“, „მოსკე“, „სოლომონზე“ და სხვათაშ.. არც ერთი რამ შესანიშნავი მოკვლავა არ უოფილა ჩვენში, რომ ხალხს უურადდობოთ დაეცლოს და შიარბი არ გამოეთქვას!.. აბა, რომელ გიორზე არ გამოუთქვამთ შიარბი.. ამას გარდა ძველი ხალხების მითო-ლოგო სულ ჩვენ ზღაბრებში არიან მოტყული, აქვე შეხვებათ ჭუმბროსასა და სხვა ძველი დროის მწერლების თხუხულებასაც ნაწვეტ-ნაწვეტათ, მეგრამ ქართული ხასიათით და სულით გი.—ვინ იცის, ჩვენ გადმოცე-

ქართულებსა, თუ იმათ განდრეხულებათ ჩვენს რმე?—
ესკება უგელაფერი დღემდა კარგათ იყო ჩვენში დღესული,
სანამ საშვილაშვილოთ განდარდა!..

მსოფლიო საქართველო წარმოადგენს ერთ-ერთ
მაგალითს, სადაც „პატონ-უმობის“ დროს ყოველერთ
გლეხებს მთელი გარეულობათ ზღაპრებისა და შაირ-
ბის მეტო ანა ემართათ რა გადსახდა. დღეს, როდეს-
საც ძველ წეს-წესობებს ახარდა-დაშალა და ახალ
კვარს ცხოვრება შეიქმნა, ამ ჩვეულებასაც ე.
ი. ზემარ-გაღმცემისაგან ბოლო მოეღო; ახალ-დღეს
აღარ ესალაება ეს ძველებზეა სახეპრობა და მისე-
ფიქსულ მამებს საფლავში თან ჩაქვეთ ეს მკარგისა განძი...
ერთი ათი წელიწადი კიდევ და შევიდობათ!.. ჩვენი
დღევანდელი დაუღვირვობით დავკარგეთ ამის, მისად
მოხუბება მეტი შეუძლებელია იქნება ეს ახალი მე ამ
ოცის წლის წინათაც გამოვთქვი „დროებაში“ და
ყოველთბისა კიდევ მომწოდებს მითან შეტრბილი
ზღაპრები და ანკები, მაგრამ შემთხვევით, ცნა-და-ცნა
სამოწველოთ ამგვარ რამ არ გაკეთდება!.. იმათი
შრომა უნაყოფო გამოდგა, რადგანაც ამისთანა საქმეს
გულდაგულ შეადგენა უნდა და ცოტადღვირ ცოდნაც
მომწინადებელი კარგ ვერ მახვდება, რას უნდა მათგინათ
ეუბრდებო და როგორც უნდა ჩაწეროს ტარინათ?..
უთუოდ შეენებული კაცო უნდა იყოს.— და, აი, მე
რას ვეუბრებ, რომ ამ საქმეს ეშველოს რმე: ბერის
შეტრბულ და გარანათ მომხადებელი ახალგაზდები
აჩიან დღეს ჩვენში უსაქმურათ, რომ დღაურ საზრდოს
ეძებენ და ვერ უმოჩინათ!.. აი იმათ უნდა დაფინანსოთ
წლიური საზრდოს-სავსო და ტაგუზახათო ჩვენი ქვეყნის
სხვა და სხვა მსარგებლა... უნდა ითხოვდეს მათგან
მიუფინანსოთ რმეღვიკე მისრ., რომ მოვლიძე სებას და
გულდაგულ იქ გამოუმართოს!.. იმათ უნდა სულ ფეს-და-
ფეს მომარონ მათდამი დანაშნული ადგოდა; რაც კი
გაიგონონ ზემარ-გაღმცემისაგან: შაირები, ანკები,
ზღაპრები, ანბები და სხვანი, სულ უქტ-ნაგებოთ
ჩაწერონ; ასე, რამ არა თუ კილო და სიტყვა, თითქმის
ერთი ასო არ შეტყლონ იმ თქმულებათ:—გვიწერონ
აგრეთვე სხა-და-სხვა ჩვეულება; როგორც საღვინო,
ასე საჭაროც.—ერთა სიტყვით, ეს უნდა იყოს
მსოფლიო ფორტოგრაფიული შრომა: უტყუვრათ გად
ღონ და გადმოდგენს სანახა და გაგონილა.—ამჟამ
მოცნაურობის დროს უფუნადლებოთ არ უნდა დატო-
ვონ არც ძველი ნანგრევ-ცისკა-დარბაზ-ტოჭები, გამო-
კითხონ იმ მარჯაში რა სკება? რა მგნარჩები? რა

ანის მათი თვისება? თუ რა მება მთხე ცადმცემა
და სხვანი და სხვანი:—რა წყარობა? რა მდინარები?
რა პირუტყვი? რა მსგებობა და რა ფრინველები? ერთა
სიტყვით, უგელაფერს მამუგრან განება!..

ამ გვარბთ შეგვიტოვებია დიდი და შესანიშნავი
მასალა, რომელსაც მეტი შეგინებება გაჩვენებს.—ეს
უგელაფერი კარგოთ, მაგრამ საშეკლება სად არისო?
შეითხვენ და მატყე მეტი დიდი სინა ვეუბრბო!, თუ
ეს სხვა-და-სხვა საქმეებისათვის გროვება შესწირი, ეს
უფერი ღირსი არ არის თანაგრძობობისა? ამასწინათაც
ვწუხები და დავით ბაქრაძის შემოწინიული იყო და დეუ-
დები მე ძველათ ამ სახალხო ფონდს. მადლობა ღმერთს,
უმაგალითოთ არ დარჩენილა! აი, ახლაც მოუგროვებათ
და გამოუცხინათო ჩემთვის რცო მანეთი რომელისა-
თვისაც უგულვითადეს მადლობას ვწინავე შემწირველს!—
იმედა, რომ სხვებიც თანაგრძობობენ ამ კეთილ
საქმეს და დიდი ხნის ნატყრა ასრულდება. მსოფლიო
სურველას და გული ამ საქმისათვის საჭარო!.. ეს კია
მსოფლიო, რომ ამ საქმეს დანაქება უნდა და სადღე-
ხვადიოთ გადსადებო არ არის!.. შესწირი ვისაც სურს,
შეუძლია უბრბის“ რეაქციის სახელობაზე გამოგზა-
ნის.—მათი სახელა და გარკა გამოცხადებულა იქნება
გაზეთში და, თუ ასურებენ, შეწინებულებს რომდგინ-
ბაც.—დასასრულ კიდევ ვაწმუნებ უგელს, რომ მოღ-
ვაწობისათვის სადალ-ვსმის და მეჯობების მართაზე
და აგრეთვე სიკვდილს შეადგე გაიგონების და მეტლე-
ბის ბეპასხვად, ეს უფერი სასარგებლო და სასწარმო
საქმი არის. (ეგვლი) № 6, 1896 წ.)

ქემბრიტალი დიდი თანაგრძობობა უნდა აღმოუ-
ჩინოს ყოველმა ქართველმა, დიდი და პატარამ,
ნასწავლობა და უსწავლობა და ყველა წოდებამ
თ. აუკი წერეთლის ამ განცხადებას და წინადადებას.
ყოველი ქვეყანაში ამისთანა საქმეს ტერიტორიულ-
თითონ ხალხი, საზოგადოება, ჩვენში კი ჰქონათ,
რამ ყოველისფერი მართებლობა უნდა იტყროს!..
სხვა განათლებულს ქვეყნებში, სადაც კი
მიხელოთ შეანიშნავი ეკლესიების და მონასტრების
დასათვალთვებოდა, მაშინვე მოგართმევენ ისტორიულ
მოთხრობას დაბედილს ამ მონასტრით და ეკლესიით.
და ჩვენში სად არის ამისთანა ისტორიული მოთხრობა
გარდა ცოტადღვირ ეკლესიების და მონასტრებისა,
რამდენი რამ ზებირ ცადმოცემები არ არსებობს კიდევ
ჩვენ ხალხში ამა თუ იმ ეკლესიებზე, ამა თუ იმ
მონასტრებზე რამდენი მოთხრობები არ არსებობს
ზოგიერთ სასულიერო მოღვაწე შესანიშნავ პირებზე,



მაგრამ ვინ უკდება ყურა, ვინ იკვლევს მათ? სასულიერო წოდება თუ საერო ლევენდარულ მოთხრობებს არ მიაქცევს ყურადღებას, წინააღმდეგობის ზეპირ გადმოცემების შეკრებას საქმეში მინც უნდა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა. სასულიერო წოდების საქმეა აღძრავი და გააკვრაველი ხალხის გულში ამისთანა საქმის ყოველივე ღონით და საშუალებით დახმარების სურვილი.

ნუ ვინ ფიქრობს, რომ ჩვენ ხალხში აღარ მოიპოვებოდა ამისთანა საქმეების დახმარებისათვის ხალხის და სურვილი. არა, ხალხში დღესაც არსებობს ყოველ საქმელ-მოქმედო საქმის დახმარების სურვილი და მონაწილეობა, მაგრამ უბედურებას არის, რომ საზოგადოების მოთავე პირები მოკლებულნი არიან ყოველ ხერხს და გამუჩინობას, რომელთა წყალობითაც ადვილად შეიძლება კეთილი საქმის გაკეთება. ზოგიერთებს და მათ შორის გავხვდებით «ივერიასაც გონია, თუ მის მტრსა ჰყოლოდა არა არის რა, თუ კეთილი იქნება და გამოაცხადდეს: რევე მივიღეთ და ვითარების და სხვათა ძველის დასაღმეველად ამა და ამ ბატონისაგან ამდენი და ამდენი ფულა». ამდენი ხანი ფულები იკრიბება და მტრს არაფერი! საზოგადოებასაც მოსწყინდება მართა ფულების გზაზე, თუ საქმის განხორციელებას არ ეღიარა იგი...

ჩვენის მხრით ბ. აკაკისაგან დაწყებული საქმის განხორციელებისათვის ყოველ წლობით ვსწირავთ ორმოცდა ხუთ მანეთს, მაგრამ იმ პირობით, რომ საზოგადოება და განსაკუთრებით ფულების შემწობის დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი შეწყობისათვის საქმე გუდავს, სიტყვას საქმე მოსდევს და არა მართა შემწობების სიხს ბეჭედა გახვთვში.

გულით და სულით ვისურვებთ, რომ ჩვენს სამედველოებს ამისთანა საკეთილო საქმეში თავისი შესაბამისი ადგილი დაეკავებოდეს და საზოგადოების ზოგიერთი შემტყობი აზრი მასზე გაქარწყლებულიყოს...

დგ. დ. ლაშაშვილი.

ქ. ო. რ. მ. ს. ო. ნ. დ. მ. ც. ი. ა. «მწამისი»-სა

სამეგრელოდან.

სოფლის მეიღროთა წინააღმდეგობა წინააღმდეგობა და მკვიდრება მათ შორის პატიოსნებისა, სიყვარულისა, გულ-შემატკიერებისა, სიმტკიცისა და სიქე-ლისა, რასაკვირველია, მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა სოფელში გვეგულდება არა ბრმა და ხალხის უხერო წინააღმდეგობა, აღტურვილი პირადი ანკარა-შით, და წათამამებული სიმართლის და სიმორაბრეს მიკრძმობით-მიხმობრობით, რომელიც ახლანდელს დროში აშკარად, დროში-ალამით და დიდებით ფრიალებს ქვეყნის თვალწინ და სათნოებას პირ-იქით უბრძანებს, რომ მის სიღამვლეს და სიმურტრეს კეთილ ქმნის ნება „მუხლ-მოდრეკით“ გამოსთხოვოს. არა! როცა ხალხს ეყოლება ქეშპირიტი წინააღმდეგობა, აღტურვილი სიყვარულით და სიპართლით, მოსეველ სიკეთისა, — მაშინ საბუთიც გვექნება იმედი გვექნდება და შეგვეძლება კიდევაც მათხოვროთ სოფელს ის ტაღანტი, რომელიც იმისათვის ასაღორძინებლად გასამრავლებლად გარდაუტია მისს კეთილის მყოფელს. ამ შემთხვევაში კიდევაც შეგვეძლოს დაგვეტუქვა სოფელი, თუ ვინცოდაა სიყვარულის წილ სიძულ-ვილს მოგვაგებდა, სიკეთის წილ — სიბედს. ახლა — კი, მობრძანდი უმეტესობა! მობრძანდი გავხვთბის ფურცლებზე, ან ქალ — ექთა წრეში თავმოქმედდ მსოფლიონო ზურმუხტოვან, ლიბერალულ და კრიმანჭულ სიტყვებ — ფრაზებისა! მობრძანდი სო-ფელში, მოიწოდინე იქ ცხრაერება და როცა სიბორო-ტებს, სიბედს, დაუნდობლობას, უემებობას, თვალთ-მაცქობას, სიჭლიდეს აშკარად დანახავ, — შესნილევ და უსაყვედურე სოფელს: „რამ დაგაქეთო, რამ წაიბილწა ასე სახე, რამ გაგაუხერო და წახანდნა — თქო სოფელი ამ შემთხვევაში, ამისთანა მკვახე პა-სუხს მოგახლის: „ჯერ შენი სახე დანახე, შე უბა-დრუკო, ჯერ შენს გულში შთა-ხედე, რამდენი, ცოდვ და მანიერება გაქვს ჩაუღვებელი და მერე — კი მე მესროლე ქეთა“.

სოფელი ამაში მტყუანი იქნება თუ? მე და შენ რომ სხვებში ვეძებთ სისრულეს, სიპართლეს, და სხვისი მტრადი ნაკლიც ავგაპოპალებს, თუმცა სხვებზე უკეთესი არც ჩვენა ვართ, საუბედუროთ.

მაგრამ სოფლის მსჯავრი კლავდა გთხოვს ყური მიუტყრა. აი, რას განაგრძობს იგი: „მე რისთვის მაყველრი რასმე? მე ხომ უბრალო მოპაკედავი ვარ: რასაც თქვენ მიჩვენებთ—ისა ვარ.

ვინ არ იცის, რომ სოფელთან პირდაპირი დახალ ოცება აქვს მღვდელს და დიდი სარგებლობის მოტანაც შეუძლია მას. ჩვენის ფიქრით, ახლა ის დროა, როცა ქადაგებაზე უმეტესად საჭიროა საქმით, სახით და მავალითი ჩვენება სათნოებასა და ზნეობისა. გახვებებში, სხვათა შორის, სოფლების ზნეობით დაქვეითებას ნასწაველ მღვდელთა სიმკირეს აწერდენ და რაკი ნასწაველი მღვდლები გამარადლებოდენ, სოფლებში ზნეობა ამალდებოდა. ვინ არა სცემს სწავლას თავებანს! ვინ არ იცის, რომ სწავლის ღამაპირი შორს ანათებს. მაგრამ, ამასთანავე, თქენი უმოარჩილესი მონა აი რას ფიქრობს: ნასწაველთა და „პატენტოვანთა“ განურჩევლად რომ არ აკუროსებდენ მღვდლებად, მათს ზნეობას და ხასიათს რომ გამოიკითხავდენ და შეისწავლიდენ და ისე იხელმძღვანელებდენ ამ სამსიშო საქმეში, მაშინ ნაკლები საყვედური გრცობდა, ვისგანაც უნდა იყოს, სამღვდლო პირთა. ახლა—კი, პატენტოვ უბატეს, პირ და ღვირი ვიღრსები მღვდლები, თუ ვინდა უუსაძაგლესი მაცაური; თვით უბოროტესი მეჭახტაველიც იყო! ამისთვის ვიტყვი ჩვენს დანაებელს სიტყვასა, რომ, თუ სასულიერო მთავრობა უმეტესს ყურადღებას მიაქცევს, ვისმესი სამღვდლოთ არჩევს დროს, იმისს ზნეობას, პატონანებს, ხასიათის სიმარტივე—სიმკიცე—შეურყველობას, ვინმე პატენტოვანობას და სხვა უზრუნველყოფნობასა, „—მაშინ ზნეობითი სიღუჭიერ შევცირდებოდა, მაშინ კეთილ ზნეობანი მღვდლის მწმენდვარე ვრი, შეძღვმისამებრ, თვით გასწორდებოდა და შეპრცხებოდა თავის უმეგავსეობისა და სიუღლსა.

II.

ახალ-სენაკის მახრაში, სოფელ ზედა—თელათში ორ შტატიანი ეკლესიაა მთავარანგელოზის სახელზედ. ამ ეკლესიაში მსახურებს ორი მღვდელი: მ. ე. ხვეციურიანი და მ. სიმონ სახოკია. ამ ორ მღვდელს სამწყსო დანაწილებული აქვთ. მ. სახოკიას მრევლი ოთხ ევრილიან თათქმის რვა ევრსზეა დაწარგებული. ამას დაუმატეთ კული გზები, ტბები, შუქის ოღრო-ჩოღროები, მკრძალენი ნაწვიმრია, წარდენს

დროიდან იქვე შთენილის და ადვილად წარმოადგენთ, თუ რა გაჭირებაში უნდა იყოს მღვდლის სახოკიას მრევლი. ზემო აღნიშნულს მრევლს უბნეების დროიდან უბატონოდ, ღეთის ანა ბარად მიტრეებულს, თავის ეკლესიიდან დაშორებულს, ჯერ სიერკით, მერე საშიშარ გზების მეოხებით, სრულიად გარდაჭეიყვებია თავისი მოვალეობა ეკლესიაში საარულისა. იმისთანა დღესასწაულებში, როგორც ადღვამა, შობა და ნათლისღება, როცა თვით ზოგერთი უფრწმუნონიც აღტყინდებიან და გამიშკვალვიან წმება გრძობებით და აფოფენდბულის გულით მიესწრაფებიან ეკლესიაში,—თვითის დასაღვეთის დასახლებულნი მრევლი კი,—გარწმუნებთ—ამ დროს, ლხინ-ზეიმშია და „ღმერთმან გუადღვგრძელას, მრავალი წელი გავგიფინოს“ ძახილ—ღიღადშია. აი, რა ურწმუნობა, გულგრილობა, რა ინდიფერენტიზმი, ვითარაი ზნეობის სიღატავე და სიუძღურე ბუღდება ჩვენში იმის მეოხებით, რომ კეთილისმყოფელი, მწყალობელი, პატრონი და „ბატონი“ არ მუგვეცხებნა, აღარ გვეყვს. ნახვთ და დასტკითი! გადაჭრით რომ ვთქვათ, საჭიროა სასულიერო მთავრობამ კეთილანებობა და მიაქციოს ყურადღება ამ შეჭირებულ მრევლის საქმეს; მისცეს წინადადება, რათა ამ მრევლმა ეცადოს ეკლესია გაკეთოს საკუთარე, სათანადო ადგილზედ! მრევლისათვისაც კარგი იქმნება და მღვდელიც უფრო რივიანად წარუძღვება თავისს საქმეს, აქ აღნიშნავთ, რომ შეიღის წლის წინეთ თურმე, ზემო აღნიშნულნი მრევლმა მოილაპარაკა მსაკუთროდ ეკლესიის აშენების შესახებ, მაგრამ როცა კითხვა იმზე მივიდა, თუ რომელი ადგილი აღმოერჩათ ეკლესიისათვის,—მაშინ ყველამ თავისს კერასთან იცნო სათანადოდ ეკლესიის აშენება. აი ამ დას-დასურმა დანაწილებამ, უკმაყოფილებამ ის გამოიწვია, რომ სრულიად მიწყდა ეკლესიის საქმე. და საამისოდ ახლა რომ სრულიად უარპოფენ ყველანი—ერთად ეკლესიის აღმშენებას, რადგანაც ბევრი ხარჯი დაგვეჭირება და ბევრი დაიდარაბაო... დასახლებული მრევლი საქებიცაა ასეთის ეკონომიურის მოსაზრებისათვის, მომავლის გათვალისწინებისათვის.. რას ერჩით! რა მიეცით და რა უნდა სთხოვოთ. სადაღ ღვარძლი გვითვისა, იქა ღვარძლიც ამოვიდა. ისეც საკვირველია, რომ ზნეობრივი ხრწნილება და სისხლის შერევა აღარ მოჰხდა მთშორის! ისეც საკვირველია, რომ უბატონო



ცხერები მგელ—ტურებმა არ დასჭამეს... მაგრამ ჯერ მაინც და მაინც დაგვიანებული არ არის! გაიღოს კიდეც ხანი და თუ ეინციობა პატრონები არ აღმოუჩნდნენ, მგელ—ტურები მაშინ გემპრიელად შეექცევიან უპატრონობის მსხვერპლთ და არხეინადუკი ჩიტკაბარუნებენ პირს. ამა რა უნდა ჰქნან! ბევრი დრო გაცალათ; თუ აქამდე პატრეი გცათ, თავიანთი მსუნაგობა და მტაცებლობის ალღო დაბრუნდეს, აწი-კი ევლარ მოითმენენ...

დიდება განათლებას ჩვენსა! დადება დიადობა — სხივოსნობასა საქვეყნო საქმის მზრუნველობისა! დიდება და ბარაქალა ქრასტანობასა ჩვენსა!

ნ. ხეგვერიანი.



კენინა ბარბარე ჯორჯაძისა.



კენინა ბარბარე ჯორჯაძისა მკვიდრი და იყო თავადი რაფეელ ერისთავისა. შვილი მისი ლენქორანში მისახურებს და ამიტომ ხშირად ხედებოდა მას ცხოვრება ლენქორანში. ადერ წინათ ჩვენ შეიქცევეთ კენინა ბარბარეს ავთმყოფობა ლენქორანში და მისი მწუხარება იმის შესახებ, რომ უცარი სიცილილის გამო ამ შორეულ ქვეყანაში არ შეხედეს დასაფლავება. ბოლო დროს ის ცხოვრება თელავში. 10 ამ პპრილს ის გაემგზავრა ფაბრიანი თფლისში და თფლისიდან აპირებდა შვილთან წასვლას ლენქორანში. მისი ფიქრი ასე იყო, მაგრამ ლეთის ნებით სულ სხვა მოხდა. 11 აპრილს, დილით სადგურზედ მოემზადენ წასასვლელად. აიდა თუ არა ეტლზედ, კნფანს გულის ფრიალი აუტყდა და ბოლოს თავებუ დასხა. იქმყოფნი ბევრი ეცადნენ, მაგრამ კენინა ევრაფერი გზით ვერ მოუბრუნებიათ. ამ ღღეს სალაპოთი გარდაცვალებული მიასვენეს თელავში.

გარდაცვალებულის დასაფლავება დანიშნეს თოთხმეტს აპრილს. ამ ღღეს შავალენ ნაწრობანი და უცნობანი შეიკრიბენ. განსვენებული გაასვენეს თელავის ტაძარში, სადაც წირვა შეასრულეს და წირვის შემდეგ ანდერძი აუტყეს მიკვალბულს. წირვაზე და ანდერძის შესრულებაზე ქართულად გალობდნენ თელავის სას.

წილებლის შეკრებები გალობს მასწავლებლის გ. წიკლაურიშვილის ლიტერატურით. შემდეგ ანდერძის შესრულების განსვენბულის გვაში დაჩქარეს თელავის საზოგადო სასაფლაოზედ. ასე მოზარდა ჩვენს სამშობლოს ერთი პატრონისი მშრომელი ქალი კენინა ბარბარე ჯორჯაძისა, რომლის ხეყვა დღევანდს დაშობა ჩვენ შორის.

მოგვეყვას აქე სიტყვა: წარმოუქმელი ბ. გ. წიკლაურისშვილის მიერ, რომელაც ხასიათებს ჩვენ ძველი დროის ქალბატონებს, შინაურული სწავლა აღზრდით აღტყველით ცხლანდელი დროის განათლებულ ქალბატონებთან შედარებით ცხოვრების საზოგადო სარბიელზედ:

„ძველად განათლებულს ეგვიპტეში მეფლისის, განათლებულ ლხნის დროს გამოიტანდნენ ხოლომე ადამიანების გამხმარს თავებსა. ამ ჩვეულების დედა აზრი იყო, რომ ლხნით გაჯაყებულთ არ დაქიწყებოდათ თვისი მომავლეება და არ გამოსულაყენენ ადამიანობას მოვალეობისაკან.“

ჩვენ ეს ჩვეულება არა გავჯარა, მაკრამ ძველის-ძველად ჩენი ერი გარდაცვალებულთა პატრეის-მცემელი ყოფილა. ეს პატრეის ცემა იქამდის დიდ-ხარისხიანად იყო, რომ მზავაჯერ გამხმარის ერის სულის ჩამდგმულად მტერთან ბრძოლის დროს. დღეს ჩვენ წინამეც არის მიკვალბული. ამისი ხილვა უნებლად მოგვავანებს იმის ვინობას. თითველ ჩვენგანის გონებაში ელვანადეი გაიზბენს ყველა ის, რაც მის პირიანებას შეეხება, რა კვალიც დამჩნევიო გარდაცვალებულს ჩვენს გრძნობაში. კერაოდ თითო-ეულმა ვიცით რომელიმე ხანა გარდაცვალებულის ცხოვრებისა და ყველაპი ერთად ვიცით, რომ კნ. ბარბარე საზოგადო მოყვანე იყო ჩვენს მწიგნობრობაში. მარტო მისი სამწიგნობრო მოღვაწეობა ისეთი მნიშველობიანია, საქმარისია, გამოიწვიოს ჩვენს შორის ღრმა პატრეის-ცემა, თუ უღირსნი შეილნი არა ვართ დასშობლობს; საქმარისია, ამ მხარიც გვიცხადოს იგი მავალითად, მიუფითით ჩვენს ქალებს და მოვასწენო; ხედავო, თქვენს წინაშე მდებარე კნ. ბარბარეს? არც ერთს სკოლაში განათლება არ მიუღია, მაგრამ აღზრდილა იმეთს ოჯახში, რომელსაც ჩაუნერგავს მის გულში დაუძლეველი მუდმივი სიყვარული სამშობლო ენისა და ერისა. ეს უძლეველი სიყვარული გამადარა ქვა-კუთხედად დაუღალავეს თვის განვითარების სტრუქტურას, რომლის შედეგიც იყო მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა. იმავე ოჯახის შვილით

განსვენებულის ძმა თ-ლი რაფელი. აქ ორი რამ არის ფრიად საყურადღებო და სამავალითო: ერთი, რომ ოჯახს დიდი მნიშვნელობა აქვს იმის მოზარდათა მომავალზედ. მოზარდათა აუკარგიანობა ოჯახის აუკარგიანობაზედ მტკიცედ არის გადახლართული. მეორე, რომ სკოლის გარეთაც შეიძლება გონების განვითარება და საზოგადო მოღვაწეობა. მაშასადამე, საჩივარი აწინდელის სკოლების შეუფერებლობისა, რაც უნდა სამართლიანი იყოს, მინც ევრაიენ იმართლებს ამით თავსა, უტუყუარი საბუთი იმის თვალწინა გვაქვს. კნ. ბარბარე ამ მხრივ პირველი და თვალ-საჩინო მავალითია ჩვენის ქალებისათვის ამ მეცხრამეტე საუუენში. იგი ერთად ერთი არ არის ჩვენდა სასიკაძულოდ, მაგრამ მესვეური-კა ამ საქმეში. იგი ბევრთად გერწმუნებს, რომ ქალის დანიშნულება მარტო გარეგანი მშვენიერება არ არის, როგორც ბერესა ჰგონია, რომ ქალის უაღრესობა და ანგლოცებრივი ძალა შინაგან მშვენიერებაზედ არის დამყარებული, რომ მეორე მშვენიერებას მრავალი უპირატესობა აქვს წინაშე პირველისა, რომელითაგან ერთიც რომ დავასახელოთ, საქმარისია, ერთი მეორეს ვამჯობინოთ. ეს ერთი უპირატესობა განლაღთ იგი, რომ გარეგანი მშვენიერება წუთიერი, მალე წარმავალი და ხშირად არ მოკლებული დიდ დიდს ნაკლულენაგანს, ხოლო შინაგანი მშვენიერება არის ხანგრძლივი, ხშირად უკუღაღი, მარადის უნაკლული და კეთილ-ნაყოფიერი. კეთილ-ნაყოფიერება მისი გარდამომავალია, სამემკვიდროა, დედა და მიზეზი სახალხო გმირთა დაბადებისა და ამისათვის ყოველთვის უაღრესი, ღირსი, სათაყვანებელი.

აი, სწორედ ამ მშვენიერებით არის შემკობილი კნ. ბარბარე და ამიტომ ყველააგან და განსაკუთრებით ჩვენის ქალებისაგან საუკუნოდ პატივით მოსაგონებელი.

კურთხეულ იყოს სახელი და დატოვებული კვალი კნ. ბარბარესი.

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი.
ანდრძის დროს სიტუა გრძობით საცე სიტყვა თვლაივს ტაძრის მღვდელმა მ. იოანე შოუკაშვილმა,

რომელმაც, როგორც გაზეოი „ივერია“ მოგვითხრობს, დიდი თანაგრძობა აღმოუჩინა განსვენებულის ოჯახს და ბევრნაირად გაუწია პტრონობა.

კ. შ. ზაბედონოსცევის აზრი რუსეთის ორის იმპერატორის შესახებ.

როგორც უფეე მოხსენებული გვექნა ჩვენს გასეუთში, 6 აპრილს წინაის სასახლეში სეულშიფე იმპერატორის თავმჯდომარეობით რუსეთის სასტორისო საზოგადოებას კრება ჰქონდა, რომელსედაც კ. შ. ზაბედონოსცევა სიტყუა წამომოსტევა და, სსვათა შინის, აი როგორ დასასათა განსენებული სეულშიფე აღქსანდრე მესამე და იმპერატორი აღქსანდრე შინგელო.

„უმაწილობათეე, სთქვა ორატორმა, აღქსანდრე მესამის შესახებ, ძლიერ უუარდა ისტორიულ რომანების კითხვათა. ზაგოსანისა და ლაქსნაიკის თხზულებებში მას, უუკ კადეე უმაწილობას დროს, ხაუნერგეს გულში სიყვარული დ გრძობა ერგონული საბაჟისა. ამ წიგნების კითხვა უუარდა მს როგორც საერმის დროს ისე თავის ცხოვრების შედეგს წლებშიაღ. ს. კ. სოლგოვიკოთ მუსიაფობამ განუმატეს მას შინაგანი აზრი რუსეთის ისტორიისა და დასახეეს მნიშვნელობა სასელწიფო ბრძოლის წინააღმდეგ ძალებთან. მს სმინად შესულბოდა სოლმე რუსეთის ჰეიან გრძობთან ბასი და უუარდა კადეე მათი უუარის. გავსა, როდესც ისინი რუსის თვალ-სეღაის ისინთ აღტურგაღი რუსეთის წარსულსედა და ახლის დროის გარემოებებსედა დაპრკაბდენენ. ამ გავრად აღიზარდა მსში ის სიყვარული რუსეთის ინტერესების, რომელიც შედეგში, მეფობის დროს, გაიფურენქნა სწორედ რომ სასელწიფო საბრძნის ძადად. რუსეთის წარსულის ნაშინი, რომელსც იგი ინსულბოდა სოლმე რუსეთში მოგზაურობის დროს, შედეგენდ მასს საუურადღებო საგანს და გარდადგე შეითვისა ის სიმშეიარეე საეკლეპსიო სურათ-მოძღვრების, რომლითაც განიბქეიან ჩვენი მკელი საეკლეპსიო ნაშთები. მს შედეგე ყოველთვის მოითხოვდა სოლმე ასლად ასაშენებელ ეკლესიების გეტებს და საკავრეელის სიმართლით შენიშნაგდა სოლმე



იმ ნაკლს, რომელიც საერთო გაკმინას არღვევდა...
 აღუქმანდრე მცრველს რუგარდა რუსეთი და თვისა
 ერი, მაგრამ მისმა აღზრდას ნება არ მისცა გავწინა
 თვისის ქვეყნის ცხოვრება, და ხალხი. იგი დაიბადა იმ
 დროს, როდესაც დაიბნეს ხალხს ერთს სამარცხენარ
 სახელს უწოდებდნენ, სახელს სულმდებლისა; და არც
 ერთი მღვდლის წოდების კაცი ვერ სვდებოდა მათში ღი-
 რსებას. დაიბადა იმ დროს, როდესაც ევროპიდან
 გადმოტანილმა კულტურამ, წყნის ხალხისათვის სრუ-
 ლად უცნობი, რუსულს ნადაგებედ მარტო გაგრძნობით
 მოიკვდა იქნა. მაშინ წარჩინებულნი თუით გველსას
 სსება თვალთ უწუებდნენ, უწუებდნენ ისე, როგორც
 ხალხისათვის უსაქაროებს დაწესებულას, მაგრამ გან-
 თლებულის დასავლეთის რომაულ კულტურას შედარებით კი
 დამცირებულს. ჭკუა და გონება ახალგაზდა სულმწიფისა
 მიმართული იყო ამაღლებულის აზრისადმი—ემყენა
 ხალხის საკეთილდღეობად, წესრიგსად დაუწყებინა მრგა-
 ლი დაწესებულებანი, აღმოუფხვრა ბოროტ-მოქმედებანი,
 დატრეფა ზღუდენი მოწიფისა და ტრუ მოწმუნებოსა.
 მაგრამ ის იდეალი, რომლისკენც იგი მიასწრაფობდა—
 რუსეთში კი არა, რუსეთის გარდა იმყოფებოდა. დაგ-
 წმასაგან აღზრდილმა, რომელმაც XVIII საუკუნის ფი-
 ლოსოფიის განყენებულ იდეები შთაუნერგა, თვისი
 იდეალი სწორად ამ იდეებისაგან აღმოკვეთა, ხალხი
 რუსეთის ისტორია, რუსეთის თანამედროვე საჭიროება
 ამისთვის გაუგებარი იყო. ახალგაზდა თანამშრომელთა
 გუნდში, იგი მათთან ერთად ოცნებას ეძლეოდა და
 ამგვარად ვითომ უდიდეს კიდურ სამართლიანობა წამო-
 გდო მმართველობაში. იმას არ ეპოდა—რა დიდა
 მნიშვნელობა აქვს მართლ-მადიდებელს გველსიას ხალ-
 ხისთვის და ოცნებობდა-კი, რომ ყოველგვარ საწმუნ-
 ნობის აღმსარებელნი გაეთანსწორებინა უფლებით,
 ოცნებობდა ზოლოტის განთავისუფლებას და კი არ
 იტოვებდა ისტორიას, რომელიც მას ეტეოდა, რომ ზოლო-
 ტის სამეფოს ახდებდა მთელს რუსეთის ერის დანა-
 გვას და დამონება იქნებოდა.

საისტორიო მასალა.

ივანე ბატონიშვილის წინადადება გიორგი მე XIII-დმო
 მართმეული 1909 წელს.

(გაგრძელება *)

გიორგიმ ცდამთავრებულმეტ. დიპლომატიკა (ანუ
 სასულიერო სამართალი) ანუ საეკლესიო საქმენი
 ანუ საკურთხნი მღვდელნი, არქიმანდრიტნი ანუ
 ეპისკოპოსნი იყოს გამოჩენით დიპლომატიკის წვე-
 რთაგან. ხალხი დიპლომატიკის წვერნი იყუნენ
 შემდგარი ეს სახედ: 1) კათალიკოსი, 2) ტფილელი,
 3) ორი არქიმანდრიტი, 4) ორი დეკანოზი, 5)
 მეფესა მომღვარი, 6) მეფისაგან მიჩენილი თვალი,
 სასულიეროს მთავარი, 7) სამნი ანუ ორნი მწერალნი—
 ესე ყოველი შეკრებულდნენ კვირასი ორჯელს
 ორშაბათს და პარასკევს. და ყოველი სასულიერო
 საქმე და სამართალი ამთ მიერ განიხილებოდას,
 აგრეთვე ესენი, თუ რაოდენი მოინათლებინა—სულნი
 დაბადებულნი ქართლსა კახეთში, და რაოდენი გარდი-
 ცლებიანი; ყოველ წლიე აღიარებდნენ ყოვლის
 სოფლების მღვდელნი და ქალაქების თვისთა სამწყა-
 თა და ამთ მიერ გამოცხადებოდას, აგრეთვე
 რაოდენი იქორწინებოდნენ. და ყოველთავე რიცხვით
 მერე ესენი მეფესა ცხად უყოფდენ, ეს სახედვე
 ვინც უცხო მხრის სამღვდლო მოვიდოდეს ამითან
 განაჯნადებოდნენ, და ესენი მიცემდნენ რაგა, თუ
 ღირსია, წირვისას და მეფესთან წარყენებისა. აგრე-
 თვე სამღვდლონი რომე უჩივლებენ თვისთა ვფის-
 კოპოსთ—ესენიც თუ იკადრებენ, არამედ გამოაც-
 ხადებდნენ დიპლომატიკისა შინა. აგრეთვე ესენი მის-
 ცემდნენ ეკლესიის შემოსავლის რიცხვსა სულიერს
 მთავარს, შემოსხრებულნი დანიშნულნი არქიმან-
 დრიტნი და დეკანოზნი ქართლსა და კახეთსა
 უნდა იყუნენ. ეს სახედვე სამეფოს განაწესონ
 დიპლომატიკა და მათივე უფროსი იყოს რომელიც
 შემოაღწინით სულიერი მთავარი. აგრეთვე ფრანგ-
 თა და თათრებსაცა ჰყუადებს ახუნდო და სხუა
 მოღანი და ესენიცა ამ სასულიეროს მთავარს
 ხელ ქვემ იყოს და ესენი მისცემდნენ ხალხის რიცხვსა
 თუ რაოდენთ უყვეს სუნით*, ანუ წინადასცუითეს,

* სენის სარწმუნოება იგულისხმება.



რაოდენს გაუჭებს ქებინი*) და რამადენი დამარხეს. ნიშანი სამღვდელთათვის მიეცემოდეს ზემოსხენებულთა კავალრთაგან ყელსა ზედან საკიდრად იყოს ჯუარები ყელზედ საკილი ოქროსა და ვერცხლისა კიდე ნიშნად მახატრებისათვის ეინმც არა იყოს ღირსი ნუ მიეცემათ ნურცა ერთი ნიშანი. სამხედროს ჯარის მღვდელთა უფროსი იყოს ეინმე კარკი მცოდინარე და ესეცა დაესწრობოდეს დიკასტორიაში ანუ მღვდელთ მონაწილთაგან ანუ სამღვდელთა იყოს ეინმე დანიშნული და ესეცა სულიერის მთავრის ხელ ქვეშე.

სკოლებისა და სასწავლებლისათვის.

შეარმეცხადამეტრამეტე. სამს ადგილს გაიმართოს სკოლა: ტფილისს გორსა და თელავსა შინა. მიუჩინოთ მუნ მკოდნენი კაცნი, რათა ასწავლიდნენ სამეცნიეროსა სწავლასა და სამხედროსაცა, აგრეთვე ენებთა. ამის მეურნედ იყოს განათლებისა მთავარი, და ესე აძლევდეს რიგსა და ჯამაგირთა ოსტატებს. ამა სასწავლებლებში მიებარებოდნენ თვებდაზნაურნი და პირველნი მოქალაქეს შვილები, აგრეთვე იყოს ამაზედ მდებალი სასწავლებლები, დუქნები ანუ სახლები. ამას წინა ისწავლიდნენ მსახურნი კაცის შვილნი და მდებარეა ფაქართ შვილები, აგრეთვე გლეხისაც ეის როგორად შეეძლოსთ. სასწავლებლებს მას შინა ჰსწავლობდნენ ქართულსა, სომხურსა, თათრულსა, რუსულსა და, თუ შეიძლება, ბერძნული და ლათინურიც, უკეთესი იქნების. ოსტატები ანუ მასწავლებელნი იყუნენ მეფის ხარჯითა, ხოლო მოწუფენი თავით მშობელთ ხარჯითა ვიღრე შემოსავალთ განერკობადმდე. ეს სახედვე სასულიერო სასწავლებლები იყოს განწყესებით და ამის მეურნეობა აქენდეს კათალიკოზს და სულიერს მთავარს. გვერდით უწერია: მღვდლის შვილები ისევე აღაზარდენ სასწავლებელში სამღვდელთად, და, ვისაც მღვდელს შეეძლოს თავის შვილს საზრდო აძლიოს და ვისაც არა ეძლოს თავის შვილსა უფროსად აღიზარდონ და «ამათი») ზედამხედველი ისევე იყენენ დიკასტორიადგან.

*) ე. ი. მოღვდის მიერ ცოლქმარობის დალოცვა იგულისხმება. გვერდით უწერია: მღვდლის შვილები ისევე აღიზარდნენ სწავლაში სამღვდელად, და, ვისაც მღვდელს შეეძლოს, თავისის შვილს საზრდო აძლიოს და ვისაც არა ეძლოს თავის შვილსა უფროსად აღიზარდონ, და ამათი (ი) ზედამხედველი იყენენ ისევე დიკასტორიადგან.

შეარმეცხადამეტრამეტე. ღვლათ მონასტერი იყოს ქალაქსა შინა გაკეთებული ანუ შიბტანი და ანუ მთაწმინდის გალენით და ეკკლესიასასახლობითა. მრავალნი არიან პატიოსანნი გუამნი, რომელთაც არა აქუთ სარჩო, აგრეთვე ქერიენი, და ამათი მზრუნველობა იყოს ღვლათალსა ზედან დამოკიდებული. აგრეთვე სხვათა ქერიეობლებთათაცა ამით მიუჩინონ რაოდენნიმე მოსამსახურე ღვლადკანცისა და კანცი, აგრეთვე სულიერნი მღვდელნი, მოხუცებულნი და პატიოსანნი.

(შემდეგა იქნება).

შმსანიშნავი ხელნაწერი.

(გაგრძელება *).

აქა ბადმისა და ევისსკან გლავა და ტირილი ბბელს ზედა.

სცნეს ესე მისთა მშობელთა, საბრალოდ ათრითოდებიან, მას შეენიერსა ნაყოფსა მიმართეს, მისკენ ზღდებიან, ნახეს უსულოდ ყრმა იგი, შეტრფობით ეკონებიან, და ცრემლსა აფრქვევენ სამწარით, სურვით გულს ეწებებიან. სიყვარულისა აღითა იქმნენ ცეცხლ მოკიდებულნი. უფლისა მიმართ ძალთასა ხმოვენ გულ გამშავებულინი: „გკოდეთო, გკოდეთ უშულო, ვართ შენი დაბადებულნი, და შეგვიწყალო მიუფვე, ჭირითა განცოფებულნი!“ დასახანდანი: „შვილო ბბელ, თვალნი ეგ შეენიერნი აღიხილენ შეგვიბრალენ, საცოდავად შენი მხერნი, გვასუბრე ტუბილი ენა, ეინა იყენეს ყრმისა მტერნი, და რომე ზენამ მას მიავგოს ნაცლოდ რისხვა მის მიერნი, შვილო, ტუბილო, შენ ხარ მშობელთ ნუგეზად და სიხარულად



შენიერად სასურველი, კეთილობით ყოველად მკუ-
 ლად, ედემის წილ სიყვარული შენი გეკონან რაბამ გულად,
 და მოგვეც სიტყვა ყრმაო აბელ, სიცოცხლისა შენ
 გეყავ სულად,
 ნუთურე შეილო საწაღო, შეწიერებით ში-
 დარო,
 ბაგე-ვარ-ღაწეებ-ბაღაზშო, ბროლზედ მშვილდ
 განაზიღარო,
 ტბილითა თეალთ ვარე გიშრისა ტყერთა მათ უცხოდ
 ამზიღარო,
 და კბილთაგან მჭვირვალთ მარგალიტთ, ბარანისებრ
 მსყიდარო.
 ნუთურე, აბელ, მართალო, წელ წელილო,
 მკლავნო მიწებო,
 უსასყიდლოსა სამოთხის შეგებისა აღმადგინებო,
 ნუთურე, შეილო მშობელთა, შენთა სიხარულ-
 ლსინებო,
 და ნუთურე, ესრედთ შენზედა სიმწარით მოგვაკე-
 დანებო!
 შეილო, ჩვენ შეგებედა მალღისა ურზებით გან-
 რისხებანი,
 ამისთვის ყოველად უბრალოდარა ვაქვს შეცოდებანი,
 ჩვენვე მოგებედესო ჩენისა ცთომისა ნაცუალ-გე-
 ბანი,
 და შენ ყრმა ხარ, შეილო, ახალ რტო, გშენის
 სოფელსა რებანი.
 ჩვენ გვიბრძანაო მალღამან მუნ მიწად მიქცი-
 ვანდა,
 მიგვიღოს სული, არ გეინდა უშენოდ სუფუვანიდა,
 ჩვენ წილ მიეცნენ სიკდილსა შენებრ შეწიერ
 ყრმანიდა,
 და ეისალა ესჭირით სანაცულოდ, გვამწარებს გლოვის
 სმანიდა!
 მოვიღეს, შეილო, მოვიღეს ჩვენზედ იქ ბრძა-
 ნებანიდა,
 მალედ შეგწიროთ სიცოცხლე შენ ხორტა ჩენთა
 განიდა,
 იყავ სოფელსა, სტხოვრებდე, ჩენ ეართ სიკედილოდ
 გზანიდა
 და შენით განაზიღელეს საწრთოს სოფლისა საესე-
 ბანიდა.
 ძეო ტბილიო და საწაღო, ჩენნი სიცოცხლე
 ბაგები

აღახვენ ჩენნი შეებანი და ჩენი გაპაშმაგები,
 ნუ მდუმარებო ყოველითურთ, ვეე კეთილად ნაგები,
 და ხმა გეყავ ტბილად სიტყვითა, ვაშრე ცეც-
 ხლი მდაგები.
 აბელ, შეილო საყვარელო! სამოთხისა ჩენ-
 თისა ჰსგავსო,
 შენებრ სრულსა კეთილობით სხვას სოფელში ვილა
 ჰრგავსო,
 რადგან ვგრე განგებან ტან—კეკლუკად მთეარებრ
 გავსო,
 და ნათლად ჩენ და მოცემული ესრე აღრე რად
 დაგავსო!
 გარს მოხეველნი ჰკოცნიდეს პირს, გულსა,
 ყელსა, ხელებსა
 ებაგებოდეს საბრალოდ, იერიდენ გლახ ცრემლთა
 ცხელებსა,
 არა იკოდენ რა ექმნათ, სიმწარით ჰგევანდენ ხელებსა,
 და ხშირად დასძახდენ დამწევარნი ყრმასა მას თვისს
 სახელებსა.
 ვაჰ, რა, მწარეა სიკდილი შეილისა საყვარე-
 ლისა,
 მშობელთა გულთა მომდები ცეცხლისა დასაწველისა,
 უძნელეს ყოველის წყლულდები და მანგილისა მჭრე-
 ლისა
 და ეინცა მოითმენს ექმნების მას გული სადსონ
 ქველისა,
 მათ მშობელთაგან პირველთა გლოვის ხმა
 განდრდებოდა,
 მუნ მიკრებოდა ცხაველი, მათ ვარე მოკრ-
 ტემებოდა,
 ფრთოვანი მხრისა ცემთა ჰაერით მოფრინდებოდა,
 და თეგნი და იგი ევშა ტარილოდ ესწრაფებოდა:—
 მათზედ შეყრიბა ყოველი არი, აბელისთვის
 ცრემლსა ჰკვირდეს,
 თვის თვისსა ხმისა წესით სტირდეს, გულსა იგმი-
 რედეს
 ზოგნი ბრკალით, ტოტით თათით და ჩარბითა
 სისხლს იღვრიდეს,
 და მისსა კვალად, სიცოცხლესა განგებისგან ინატ-
 რიდეს.
 განმრავლდა ტყემა ვეებით და ცრემლთა უხვად
 დენანი,
 მშობელთა განმწარებულთა აქვსთ შეილის ვარე
 მოჩვენანი,

ებეწებოდენ ურველთა: „ვისაც გრწამთ არსი ზენანი და შემევი გვექმნებით დამწვართ, სრულად წაგვავლიათმენანი.“

აბელ მოგეტყავს სიკვდილმან ტყბილი და საყვარელია, მით გაგემწარდა საწუთო, გვიბნელდა დღე ნათელია, უღონო-ქმნილ ვართ, არ ვიცით, რა ვჰყოთ და რა საქმნელია, და ვინც რა იცოდეთ გვასწავეთ, გულს გვიგზავს ცეცხლი მწველია“.

ორმოცსა დღესა მარადს იქ მოუკლებლად ვებდინან, ლამე მდუმრიად გულითა მსურვალედ დასტირებდინან, თვალნი გეონად შექმნოდეს, კრემლს ხშირად ამრქეფებდინან, და წყნარისა ხმითა, გლოვითა მას ზედან ბუღბუღებდინან,

ჰგონებდინან სასურველის შეილის სულის მობრუნებას, ღვთისა მერ მოწყალეობით, მისსა კვალად განკურნებას, ეგზომ მწარით ცრემლთა დენით ვერღა მიხედენ უკვდავებას, და უკრძალველათ განზრახვითა გველისგან ზედენ მოკვდავებას.

რა უყონ ძესა საყვარელს, ჯერეთ ეს არა იცოდეს, იქ საცოდაენი მშობელნი მისის ჰერეთითა იწოდეს, რა ვჰყოთ, შავბედთა რა გემართებს, ტირილით ამას იტყოდეს, და იგლეჯდენ წვერსა და თმას, თვისგან ნაქმარსა ჩიოდეს.

მყისად იხილეს მფირნველნი, შოვიდენ ფრენა-მალითა, ერთსა მათგანსა მოყვასსა გლეჯა დაუწყეს ბრკალითა,

მოკლეს საბრალო მილეს მიწასა მტირალთ თვლითა, და ქვეყანა სთხარეს, შიგ შთასდევს, მიწას ყრა უწყეს ძალითა:

ესე იხილეს მშობელთა მტირალდ თვლითა სველითა,

სიტყვებს: ჩვენცა გემართებს ესრევე ვყოთ, სიმზენ ჩვენ სიქველითა,

მათ ჰოვებს ეელი კეთილი, სთხარეს თვისითა ხელითა, და შიგ ჩასაყენეს აღადეს, მიწითა დამფარველითა.

ერთსა წელსა არ განშორდენ მიწას, შეილის შემკამელსა, სპერეტდენ საფლავს შეტრფობილნი, ეთა შეილსა საყვარელსა, აბკურნებდენ მოუკლებლად ზედა ცრემლსა ერთობ ცხელსა, და მორესცილდენ მრავლის გლოვით, მასვე დროსა შარანდელსა.

(შემდგო იქნება)



ს უ რ ა თ ი

(გოქტევი განტანგეს).

I

ლამეა, ბნელა... მთელს ქვეყანაზედ ბუნება მწარედ დაღონებულა, ვარსკლავთა კრება ნაღვლიან ცაზედ აღარ კაშკაშებს დამწუხარებულა.

ლამის გუშავი, ბადრი მთოვარე, ღრუბელთა იქით გადამალოლა; უსხივ-უშუქით ცა, არე-მარე. ბნელით მოცულა და მოწამლოლა.

ღრუბელი მწყობრად მიმომფრინავი ცასა შეე ზეწარად ღინჯად ეკვრება, ბნელი, წუხილი, ტანჯვის ნიავეი ქვეყანას იყრობს—მოლხენა ჰქრება.

ზღვა სდუმს, აღარ გრძობს კვლავ ნეტარებას, სიხარულ-ღვინის ზვირთებს არ აჩენს; დამონებია შავს მწუხარებას ციდან მოვლის საშიშ განაჩენს.

ციური ნამი, სულის მკურნალი, აღარ იგონებს ტანჯულ ქვეყანას, ანგელოზთ გუნდი ტყბილად მღერალო აღარ უგალობს ცას ტყბილსა ნანას.



II

ძლივს... ბნელით მოცულ ზეცისა სიერცეს
მერთალი ნათელი შემოგზარა,
და დაწულულებულ ქვეყნისა სიგრძეს
მწუხრის ბორკილი ჩამოეყარა.

ვარსკვლავთა კრება სხივ-ცისკროვანი
ციმციმ-სინაზით გამოკაშკაშდა,
და ბადრის მთვარის სხივთა გროვანიც
ლაყვარდ ზეცაზედ წამოთავაშდა.

ღამქროლა ქვეყნად ტბილმა ნიავმა,
გამოაღვიძა ზღვა და მდინარე,
და ნეტარებამ მიმოფრინაებამ
კვლავ მოაკოცლა ტანჯული მხარე.

მოისმა ზეცით ანგელოსთ გუნდის
სულის წამრტაკი ლეთიური ნანა
და ნაზ ვალობით წვალების ზუნდის
ღამტერევედ ქვეყნად გამოეკანა.

III

აჰა... გამოჩნდა გაბრწყინებული
წმინდა არსება, მკვდრებით აღმდგარი
და განანათლა მწუხრით მოცული
ქვეყანა სევდით დაღლილ მიწიანი.

ანგელოზთ გუნდი თავზე ევლებო,
ვარდ-ყვავილებსა ნაზად ფეხთ უფენს;
გუნდი გუნდზედა ლხინით ეცლებო
და სულის წარტაკ ვალობით უღებენს:

ტანჯვა-მონების მიძივე ბორკილი
წულარ არსებობს დაიმხებრეს ქვეყნად...
გამოიღვიძეთ!... იკმარეთ ძილი...
სიამით მორთეთ გულია, გონება!..

მალ. ბოლქვები.

გიგვი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

მათი ყოველად უსამღველოესობა იმერეთის
ცნისკოპოსი გაბრაელი 12 აპ თუქს ღამის მატარებ-
ლით გაემგზავრა საჩხერეში და მერაუღ დღეს მწირველი
ბრძანდებოდა ვარდაცვალებულის თავადს პაუნი
წერეთლისა. თოთხმეტს დაზრუნდა საჩხერეღვან და
15-ს მწირველი ბრძანდებოდა ს. ლენკითში მერაუროცე
დღეს უგანათლებულესის თავადსა. ი. ბაკრატიანის
სულის მოხსენებისათვის. ამ დღესაც მრავალი ხალხი
დაესწრო განსვენებულის სულის მახსენებაზედ.

* * *

8 აპ აპრილს ქუთაისიდან ვაიხარა საეკლესიო
სანთლის საწყობში მჯდომი რასკინი და თან გაიყოლა
4 ათას მანეთამდე ფული. ეს რასკინი აპ ოთხ
წლას წინად მოინათლა და ჩვენს ეკლესიას შემოაუ-
ერთდა. იგი რუსის ურიათაგანი იყო.

გაზეთ. „ნოვა. ობოზრ“-ის სატყეოთ, გაგასაის
დმინისტრატია ამ უამდ იმის განხილვაშა, თუ რა-
გორ გამწვლონ შარველ-დაწყებათს, სასაღხო სკო-
ლების რიტსეი, რომელთა რაოდენობა არ აკმაყოფილებს
თურმე დღევანდელს მოთხოვნებს. უკანასკნელ ცნო-
ბებიდან სწინს, რომ ერთი სასაღხო სკოლა ამიერ-გა-
ასაში 14,500 სულზედ მოდის; კერძოდ ერთი სკოლა
მოდის: ქუთაისის გუბერნიაში—7,900 სულზედ.
თფილისისაში—9,900, განჯისაში—20,900, ბაქო-
საში—22,00, ერკენისაში—26,000, ფარსის ოლქში—
80,000 სულზე და დაღესტნისაში 60,900—სულზედ.
აქედან სწინს, რომ უგულზედ მარჯვეთ სკოლებს
განათვის საქმეში უკრ ქუთაისის გუბერნია ეოჯაღს,
მერე ტფილისისა, სხვა გაგასის გუბერნიები-ეი მეტად
წამორჩენილან უკან საქართველოსათნ შეადრებათ.

* * *

შეტბურტიდგან აუწყებენ გაზეთ „ნოვა. ობოზ-
რნიეს“ რამ უმაღლესს განკარგულებით, მინათ-
მომქმედებისა და სასულმწიფო ქონებათა მანისტრა ამ
მოკლე წნში გამოგზავნის შავის ზღვის ოლქში კერძო
ეკსპეტიტას. ეკსპეტიტამ უნდა გამოიკვლიოს ამ ოლქის
მთანი და შუა ნაწილები. საგანი ამ გამოკვლევასა აწინს
შეკეთება გამოსადგე ადგილების რუსეთადამ გადმოსა-
სლებულთ დასასწავლებლად, რომლისათვისაც ეკსპეტი-



ცამე უნდა აღნიშნოს: 1) ადგილები, რომელზედაც მთიულეთს სოფლები იყო გაშენებული, 2) ადგილები გამოსადეგი სამუშაოებისად, 3) ტყეები, რომელნიც, თავის ადგილ-მდებარეობით, საჭირონი იქნებან ქუჩის გაუყენით მიდამოზე, 4) რამდენა სკიანო თითო სულზე მიწა, მიხედვით სხვა-და-სხვა სამუდროო გარემოებისა და ადგილობრივ ქუჩისა, 5) ადგილები სოფლებს განაშენებლად, სივრცე მათა და რიცხვი ხალხისა, რომელიც შეიძლება დეპტოსს ამ ადგილებზე, 6) ადგილები სოფელს გარეთ, ბაღ-ბოსტნების განაშენებლად, 7) რამდენი ფული მოუნება ამ ადგილების შემუშავებას, 8) გზები ეტლითა და ფეხით სასაარსო-ლონი, სივრცე ამ გზებისა და ფული მათ განაკეთებლად, 9) დასაბრუნებელი სახლები და სხვა, ადგილობრივ პირობათა მიხედვით, მაგ. სეკუთით ფულით, შედგათათ ფოტოს ფულში, ან ჯარში გასულში. (იუნიონი“)

7) ესთქათ გაცნოს საარსება სურს, მაგრამ აღსარების თქმა გერ მოასწროთ თავისს მოძღვართან და ადგილობრით მღვდელს არ ეუხნება აღსარებას, რადგან თავისი ძველი მოძღვრის გამოცხადება არა სურს, ამისთანა გაცნობება, ზიანება თუ არა?

8) წარსულს წელში საქართველოს საქსარსოის მოამბის ერთ ნომერში იყო დაბეჭდილი, რომ მღვდელს შეუძლია შვი ფერის სუფიან დახსუროს თავსეგო (На открытомъ воздухѣ), მაგრამ არ იყო ნათქვამი, თუ რომელ მღვდელ მოქმედების დროს შეიძლება ამ შვი ფერის სუფიანს დახსურვა. გთხოვთ განკვირებოდეთ, როდეს შეიძლება სუფიანს დახსურვა და როდის არა?

9) შეუძლია თუ არა მღვდელს წირვის შემდეგ ხაყე ბარბამა წმიდათა საიდუმლოთა გამოცხადებას კვეციანიდან და წაიღოს ერთი კერისს სიშორეზე უბრალო სახლში და იქ 100-დანი წარვა მოუშენებენი მემარსულენი აზიაროს ბარბამადან?

მ ი გ მ ბ ა.

საეჭვო კითხვების განმარტება.

ჩვენ მივიღეთ სხვა და სხვა პირთაგან შემდეგი კითხვები.

1) მოძღვართ მოძღვარს მღვდელს ოჯახშიც უნდა უთხრას აღსარება, თუ მარტო მღვდელთა ვალდებულად აღსარება უთხრას მოძღვართ-მოძღვარს?

2) ვინ უნდა აღუსრულოს მღვდელ-მოქმედება მღვდლის ოჯახს მღელ. ნათვლა — ქორწინების დროს?

3) შეუძლია თუ არა გრებულს სასულიერო მთავრობას ნებადართოვლად საეკლესიო მამული გაუგებლოს სხვა კერამო პარს?

4) შეუძლია თუ არა მთავარ-ღიაკონის ილოტოს მქუხრი და ცისკარი ასამაღლებლებს გარდა?

5) შეუძლია თუ არა მღვდელს ცუდა ამიდაისა გამო შედგათინის დახლება თავის სახლში საღვთაგად?

6) უსიკარის დროიდან და ათ თუთხმეტო წელიწადი რომ ერთ სამრევლოში სტხოვრობდეს გაცნა, წარვა ლოცვაზედ ამ სამრევლოის კვეციანიზედ დადიოდეს, აღსარებას ამბობდეს და ზიანობდეს, ამ მრევლის საეკლესიო საბუთებში უნდა იქონი ნაწერი იგი, თუ სხვა სამრევლოში 15 კერისს სიშორეზე, საღვ წელიწადში ერთხელ არ შესება მისკელა?

1) კონსისტორიის წესდების ძალით მღვდელი ვალდებულია, რომ მარტო მოძღვართ-მოძღვარს უთხრას აღსარება, ან უნდა მოწიობა წარადგინოს, რომ სხვასთან სთქვა აღსარება; მღვდლის ოჯახობას გი ვისთანაც სურს აღსარების თქმა, იმას ეტყვის.

2) ნათვლისა და ქორწინების შესასრულებლად მღვდელს ვინც სურს, იმას მოიყვანს. ზოგიერთ ადგილას ჩვეულებით აქვთ ბუღალტრინის და მოძღვარბა — მოძღვარის მიწვევა, ზოგან მთავრობაც აძლევდა ამის შესახებ წინადადების სამღვდელოობას, მაგრამ ეს ყველაგან ერთნაირად არ სრულდება და არც რაიმე კანონი არსებობს ამის შესახებ. გაჭირების დროს თვითონ მღვდელსაც შეუძლია ნათვლისა და ქორწინების შესრულება თავის შვილზე.

3) საეკლესიო მამულის გაცვლა კერძო პირის მამულში არა თუ კრებულს მღვდელ-მთავრობესაც არ შეუძლიათ.

4) საზოგადო დოცვა — მქუხრი და ცისკარი უმღვდელით არ ასრულებება და რასაკვირველია მარტო მთავარ-ღიაკონსაც არ შეუძლია მისი შესრულება.



5) სადაც უნდა დაიბაროს მდგველმა მედიკოსმა და მდგველ მოქმედების შესასრულებლად მრევლში, იქ უნდა გამოცხადდეს.

6) ათი თუთხმეტი წყლიწადი თუ ვინმე ერთ მრევლში სცხოვრებს, რასაკვირველია, ის იმ სამრევლოში უნდა ჩაირიცხოს და ადგილობრივ ეკვლეისის საბუთებშიც უნდა იწერებოდეს.

7) უაფსარებოთ კაცის ზიარება არ შეიძლება.

8) შვი აფერი სკუფიების ხმარება შემოიღეს მდგველებმა რუსეთში, სადაც ზამთარში ქუდ დახურული კაცებიც იყინებიან და ცივდებიან და ჩვენში ამისთანა სკუფიების ხმარება უაფილაა. სადა არის ისეთი სიციფეები ჩვენში, რომ ამ ცივი ქვეყნის სამდგველოებას მივბაძოთ. რუსეთში ამისთანა სკუფიებს იმ დროს ხმარობენ, როდესაც სამდგველოება ან მიდის გზაში და ან ფიჭინობის დროს. სახარების კითხვის და მესამე ნაწილი დოქტორდის შესრულების დროს არ შეიძლება სკუფიის და კამილაფკის დახურვა და ზოგ სხვა შემთხვევებში, რომელიც ყველა იცის, ვისაც აქვს ეს ჯიფდონი.

9) იმ ნაირად, როგორც თქვენ იწერებით, არც სავსე ბარძიმის წასვენება შეიძლება და უწირავათ არც ხალხის ზიარება. საბერძნეთში, წინეთ ჩვენში და ზოგან ენდაც სწეულის საზიარებლად გასვენებენ სიწმიდეს და შემდეგ ისევე მობრუნდებიან ეკვლეისაში.

რეაქტორი

გამოსადეგი ცნობა.

ამ ბოლო დროს ბაღების და ენახების პატრონებს ურჩევენ ლიზოლის ხმარებას; ლიზოლი მეტისმეტი იაფი და ადვილად მოსახმარებელი წამალია და იხმარება მავნებელ მწერებისა და მცენარეების ავადმყოფობის მოსასობლად. წყალში გახსნილი ლიზოლი ($\frac{1}{1000}$ ო¹/₂ ო⁰/₆) ძიზიანად სპობს ვაზის ავადმყოფობას. როგორც მოგვხსენებთ, ნაცხრა ჩვენშიაღ ძალიან გავრცელებულია და ლიზოლი კი ამ ავადმყოფობის წინააღმდეგი არის. გერმანელი მეზაღები აღტაც-

ბაში არიან ლიზოლის ძალით; ისინი ამტკიცებენ, რომ ერთ ან ორ პროცენტიანი წყალ-ნარევი ლიზოლი სრულიად სპობს სხვა-და-სხვა ჭებებს, მატლებს და სხ. მწერებს, რამელნიც ძალიან აფუტებენ ხეხილს. ლიზოლი ყველა აფთაქში ისყიდება; ლიზოლს პულვერიზატორის საშუალებით ხეებს შესახამენ ხოლმე ერთ საუცხოო თვისებათ ლიზოლისა ის უნდა ჩაითვალოს, რომ იგი სრულით უნებელია და ბევრად უნებელიც ვიღრე, მაგ. შაბიამანი, გოგირდი, ნანშიზაღი და სხვა.

რედაქციის პასუხი.

ტ. ს. კ. ა. კ. ჯ. ს. თქვენი კითხვის განმარტება ისეაღეთ წინა მწეპისის ნამეღრში, ან სასვალმდგველო წიგნში, რომელიც უოგელს ეკვლეისაზედ იმეჭრება. მდგველი ბეჭევის მონათლაზედ უარს ვუტყვის ვერც ეტყვის.

ბ. უ. რ. ი. ა. ს. ან შეუძლია. მისხალბა-მათესაობა არის, ეს უგვლამ იგის, განმარტება არ უნდა.

მღ. შ. ბ.—ქს. ნათლათ მოიკიდეთ რომელიმე თანამშრომელი „იკრეიასის“ და მეტეგატეჭეპენ პასუსს.

მღ. დ. ს.—ქს. მდგველი რომ დაუბატოქებლად დაიწეებს საარულს, რასაკვირვებია, სემტებინია, მაგრამ ისეთი ბატეათაც ისტუმრებენ მათ ზოგეერთ ადგალას.

მსწ. ა. ბ.—უას. ნამეტან ფარსეკლბას იერადეთ.

რ. ქანასან იმე. თქვენი ლექსებია არ იბეჭდება.

ბატ. ტ. ინასარქის. ჰე, რამდენი მავსთანა რხერეჭეპს სეჭართკვლას!.. ვინც მას ივიწეებს, მის ღმერთდ დაივიწეებს!..

მეწიწრულეპანი.

დავით აღმაშენებლის სასაფლაოს სამლოცველოს განსახლებლად და წმ. მოწამეთა დავით და გონსტანტინეს კუბოს მოსაპოებლად ჩვენ მივიღეთ ელადიკავ-



კავის ეპარქიის მღვდლის ნესტორ ბაკურაძისაგან 7 მანეთი შემწირველთა სიითურთ. სამწუხაროდ ამ სიას ვერ ეტყუდეთ, რადგან იგი გარჩეულის ხელით არ არის დაწერილი.

ამავე მიზნისათვის ჩვენ მივიღეთ მღვ. მათე ჯგუშისაგან 1 მ.; მისი მფულისა და შეილთაგან 1 მ. და ქალბატონის უტუნა ფაცაცისაგან 1 მ. და სულ 10 მან.

ამ ფულებისა იყო 3208 მ. 32 კ. ამანად იქნება 3218 მ. 32 კ.

ამაგო რადამტრო!

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენნი პატივცემული გაზეთის „მწვემსი“-ს საშუალებით უკუდღითაფსო მადლობა გამოუცხადოთ იმ პირებს, რომელთაც კეთილი ისურვეს და შემოსწირეს რწმუნებულ ჩემდამო ბოძილის წმ. ნიკოლოზის ეკლესიას საეკლესიო ნივთები, ღირებულები 136 მ. 40 კაპიეისა.

ამ სია შემოამწირველთა:

- ებე გუჭაბიძის ასულმა ფიგარ, ღირებული 10 მ., არტემ შიშიშვილმა გიორგინი, ღირ. 18 მან., ახ. ბარის პოდკოლოზინმა სადღესასწაულო, ღირ. 10 მ. 40წ. კონსტანტინე ჩხარტიშვილმა ზადიკი; ღირ. 7 მან., გრიგორი დარჩიამ პარაკლიტონი, ღირ. 7 მ., გაბრიელ გოგუკამ სამოკუელო, ღირ. 6 მ., ფაქია ჩხარტიშვილის ასულმა პატარა ზადიკი, ღირ. 3 მან., სოფიო ევაჭანტირაძის ასულმა უმნი, ღირ. 3 მ., ივანე სახელეკამ ერთი საწოცე, ღირ. 15 მან., დარია შინაზინმა დაფარნები ღირ. 3 მან., ლიზა ჭყონიას ასულმა მაცხოვრის ხატი, ღირ. 3 მან., ეკა მამელიაშვილის ასულმა აბრეშუმის პლატოკი, ღირ. 8 მან., ცაცო შიშიაშვილის ასულმა ერთი წყვილი პირადი ღირ. 40 მანეთი და ანტონ ვილიამე ერთი პლატოკი აბრეშუმის, ღირ. 3 მანეთი.

ბოგილის წმ. ნიკოლოზის ეკლესიას მღვდელი იოსებ დარჩია.

ამ 1895 წლის 28 მარტიდან მეურნეობის, ეკონომიკის, მრეწველობის, ჭიკაბენის, სტატისტიკის და სახეათალო ურნალო

„მ მ უ რ ნ მ“

გამოცემა ქუთაისში ხსნა და რედაქციასაგან იმეგ ზრდგანმამით, როგორც აქამდე გამოდიოდა.

გ ა ს ე თ ი ს ფ ა ს ი :

ქუთაისში: წლით 4 მანეთი | ქუთაისს გარეთ: წლით 3 მ. ნახევარის წლით 2 მ. 50 კ. | ნახევარის წლით 3 მ.

ქუთაისში დახარვეზებულს მონაწილეობას მიიღებენ: ა გ რ ო ნ ო მ ე ბ ი : გუნდასე იოსები, დეკუბაძე ნიკოლოზი, ნაკაშიძე ერმილი, თ—დი; სულხანიშვილი ვასილი; შარაშიძე ალექსანდრე; მედიცინის დოქტორი ნაზარაღვი დიმიტრი; მეფეთქურე პპოლონ წულაძე და სხენი. ამითის და სხვა თანამშრომლების მეოხებით რედაქციას იმედი აქვს, რომ პირნათლად აღასრულებს თავის მოვალეობას.

ესისად მეთურა გამოწერა სურს, უნდა მიმართოს: ქუთაისში (მეთურის) რედაქციას, გვეუთის ქუჩის გადასახვევში ქუთაისის სახლი № 10; თბილისში წერა კითხვის გამოწერა. საზოგადოების კანცელარიას; ზუგდიდში ელადიშვილ კონსტანტინეს ძეს ალშიბაიას; თელავში ელადიშვილ ალათონის ძეს სვიმონის კასში ბანს ილია თუხარელს; დასწხუთში კირილე წილონანს; დ. გვირავსაში თ. ხუსკუაძეს; ოსურგეთში ვასილ ხულაძეს; ბათუმში პაველ შ. ქუთაის.

რედაქტორი და გამოცემეული ილია ჭყონია.

საღიგურაგურა განყოფილება: სსიამოგონა ამა ვი.—განცხადებასათი — „მწვემის“ კორესპონდენტები — ხეკოლოკი ცენია ბარბარე ფორაძისა.—კ. 3. პოპოლონოს ცევის აზრი რუსეთის ორის იმპერატორის შესახებ.—სისტორიო მასალა.—შესანიშნავი ხელნაწერი.—სურათი (დემსი).—ახალი ამბები და შერეულები.

საეჭვო კითხვების განმარტება.

გამოსადგვა ცნობანა.

რედაქციას ზსუსხა.

შეწირულება.

განცხადება.